

საქართველოს კანონი

„საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №11, 29.03.2005, მუხ.68) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლით გათვალისწინებული დაზღვევის სუბიექტები არიან:

ა) დაზღვეული – გარდაცვლილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის (ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის) ოჯახის წევრები, რომელთა სასარგებლოდაც ხორციელდება დაზღვევა;

ბ) დამზღვევი – პირი, რომელმაც დაღო დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველთან. დამზღვევი იმავდროულად წარმოადგენს დაზღვეულს.

გ) მზღვეველი – სადაზღვევო საქმიანობის განმახორციელებელი ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს გარდაცვლილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის (ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის) ოჯახის წევრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევას.

2. მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გარდაცვლილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის (ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის) ოჯახის წევრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევა ხორციელდება ვაუჩერის მეშვეობით, ამ კანონის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, დაზღვეულსა და მზღვეველს შორის დადებული ხელშეკრულებითა და ვაუჩერის პირობების შესაბამისად. ვაუჩერის პირობები (მათ შორის ორგანიზაციების მიერ ნების გამოხატვის, ვაუჩერის გაცემის წესი, ვაუჩერის ღირებულება, აგრეთვე სამედიცინო ვაუჩერის გამოყენებასთან და ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები) განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.